ერი

№ 28
წელიწადი
მეორე
1914

ფასი:
წლიურათ . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 5 თებერ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“
Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ერი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . .	7 მანეთი.
ნახევარი წლით . . .	4 მანეთი.
ერთი თვით . . .	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . .	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

სამშაბათს, 4 თებერვალს, ხანმოკლე ავათმყოფობას შემდეგ ქუთაისში გადაიცვალა

მოსე ათანასეს ძე ქიქოძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძენი განსვენებულისა ნიკოლოზ და მიხეილ, ასულნი თამარ, ნინო, ბარბალე, ეკატერინე, ალისა, რძალი ელენე ლევანის ასული და ცოლისდა ნადეჟდა ტატიშვილის ასული. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 ს. (საკუთარი სახლი ივანოვის ქუჩა.) დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

პავლე გურგენიძე მდივანი და მეუღლე მისი თამარ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი სიმამრისა და მეორე საყვარელი მამის

მოსე ქიქოძის

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე. საკუთ. სახ. ივან. ქუჩა.

ვასილი ივანეს ძე აბრამოვიჩი და მეუღლე მისი ნინო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი სიმამრისა, ხოლო მეორე ძვირფასი მამის

მოსე ქიქოძის

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე საკუთარ სახ. ივანოვის ქუჩა.

ედმუნდ ედმუნდისძე ფრიკი და მეუღლე მისი ეკატერინე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი სიმამრისა და მეორე დაუვიწყარი მამის

მოსე ქიქოძის

გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 ს. საკუთარ სახ. ივანოვის ქუჩა.

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: ქვრივი ქრისტინე სიმონის ასული, რაჟდენ ნიკოლოზის ძე, ოლღა ნიკოლოზის ასული, ნინო გრიგოლის ასული და ნესტორ დავითის ძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი უსაყვარლესი ქმრისა, მეორე და მესამე დაუვიწყარი მამისა, მეოთხენი ძვირფასი მამამთილისა და მეხუთე სიმამრისა

ნიკოლოზ იოსების ძის შავგულიძის

ხანგრძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 7 თებერვალს, ნაშვადღევის 2½ ს. ქვიტირის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში; მიცვალებულს გამოასვენებენ გალუმკინის სახლიდან ინჯინრის ქ.; პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 ს.

კალენიკე ალექსანდრეს ძე საყვარელიძე გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 6 თებერვალს, „საქარის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელი მეუღლის

ალექსანდრას

სულის მოსახსენებლათ.

თფილისის სპილენძის ჩამოსასხმელ-მა ქარხანამ

დაიწყო დამუშავება

წითელი სპილენძის

ფურცლებათ და რგოლებათ სხვადასხვა სიგრცისა და საუკეთესო ხარისხის. დაკვეთა შეიძლება ამ მისამართით: ქარხნის წარმომადგენელს ფ. ი. გ. ერმანს. თფილისი, ველიამინოვის ქუჩა, № 24, ანდა პირდაპირ ქარხანაში, ელისაბედის ქუჩა № 184.

ქალაქის თეატრი.

დღეს, 5 თებერვალს, უკანასკნელი გასტროლი თფ. დრამ. ქართული დასისა

სიონათლე

ი. გედევანიშვილისა — დაკლებული ფასებით.

„რადიუმი“

ორშაბათს 3 და სამშაბათს 4 თებერვალს ნაჩვენები იქნება ახალი სურათები

I.

პატე-ჟურნალი.

II.

„მწარე სიონათლე“

დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან ორ ნაწილათ.

III.

„მოკითხვაქალი №333“

მხიარული კომედია. კოროტიშინის მონაწილეობით.

ანონსი: 5 თებერვალს, ნაჩვენები იქნება ახალი სეანსი ჯორჯიას ქალთა პროფესიონალური შკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.
6 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება, სხვათა შორის,

„სინიდისის ქენჯნა“

ქუთაისი

პირველი კერძო სამეკურნალო

სპეციალისტი აქიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რედიგინის სახლი თეთრ ხიდთან.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

კ. ა. ანანიანი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რედიგინი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½ 2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის	4½—5½
გ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5½—6½

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.
ტელეფონი № 53
სამკურნალოს დირეკტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მეოთხე

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

1914 წლის 2 იანვრიდან
ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვარის პირდაპირ გაიხსნა

კანტორა

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года
въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

контора

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

---

18 დეკემბერს ... ქალაქ ... ...

ია ეკალაძის (ა. ცინცაძის) მოთხრობა მეორე ტომის გამოსაცემად
წიგნი შეიკავს 400—500 გვერდს დართული ავტორის სურათი, ფოტოსიმილე და კრიტიკული ნაწერები.
წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით. მავრიკიშვილის, ი. კვიტკოვსკის, ...
ხელის მოწერა მიიღება 6,5 ქ. ოქტომბერის, თ. ...
„პროგრესის“ წიგნის მაღაზიებში და ...
ფასი ხელის მოწერილ-ფასად ...
მიწერა-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, ...
თი ქუჩა, სახლი ...
გამოცემელი ა. ...

აქიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ი. ჩარექოკი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, ბოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმი. კაკიტელაშვილი. დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან ტ დროებით იღებს ავათმყოფებს საკუთარ სახლში სომხების ქუჩაზე, კათოლიკების ეკლესიასთან.

ქუთაისი, 5 თებერვალი.

კოკოვცოვი დამარცხდა და იძულებული შეიქნა სამსახურისათვის თავი დაენებებია. დიდიხანია მემარჯვენენი მის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელს აბამდენ, ბოლო დროს კი გაშმაგებული იერიში მიიტანეს მასზე ყოველის მხრიდან და გაიმარჯვეს კიდეც. ამ გამარჯვებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბევრსა გონია. უმაღლესი მთავრობის სფერებში მომხდარი ცვლილება სიმპტომატიურია იმ პოლიტიკური კურსის, რომელიც დღემდი გაბატონებული იყო. დამარცხდა მისი შემქმნელი, დღეს უკვე ყოფილი პრემიერ მინისტრი კოკოვცოვი. სახელმწიფო მართველობის გემი საჭეს ჩამოშორდა. უკანასკნელი ცვლილებანი სავსებით ახასიათებს სახელმწიფოს სათავეში მდგომს მომქმედ პარტიათა ძალთა განწყობილებას. დღეს ცხადია ყველასათვის, რომ კოკოვცოვის დამარცხება მემარჯვენეთა გამარჯვების მომასწავებელია. ის მაჩვენებელია იმისა, რომ სფერებს სურთ უფრო აქტიური პოლიტიკა აწარმოონ. რუსეთის მდგომარეობას ყბად აღებული მკვდარი წერტილი სავსებით ახასიათებს. იგი არც წინ მიდის, არც უკან იხევს, ვერც განახლებისა და წინსვლისათვის მომქმედ ძალებს გაუმარჯვიათ, ვერც რეაქციის მსახურნი ხრიდენ აქამდი მაინც თავისაკენ გამარჯვების სასწორს. იმ ერთის შეხედვით მოდუნებულს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი, რთული და მწვავე ბრძოლაა, მაგ-

ლღიური.

— საფრანგეთის პრესა კოკოვცოვის სახელმწიფო მოღვაწეობას ქებით იხსენიებს.

— ლვოვში უმუშავრები მეფურნეებს არბევენ და პური გაქვთ.

— იტალიის მეფემ ესადფაშა ინახულა.

— ბერლინში პირველ თებერვალს რუსეთის შინა მრეწველობის გამოფენა გაიხსნა.

— პეტერბურგში ხმა გავრცელდა— საზიანოვი სამსახურს თავს ანებებსო.

— რიგაში გერტის ქარხნის მუშები გაიფიცენ.

— პეტერბურგში ბალაშოვის თავჯდომარეობით სრულიად რუსეთის ნაციონალური კავშირის კრება გაიხსნა.

— მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე გორემიკინი ხელმწიფეს წარუდგა.

— ფინანსთა მინისტრმა საჭიროთ სცნო კინემოტოგრაფებს განსაკუთრებული გადასახადი დაადვას.

— ბულგარეთის მეფე გაზაფხულზე ამერიკას მიდის.

რამ, რადგან აქამდი ვერც ერთმა ბანაკმა ვერ სძლია ოწინააღმდეგეს, პოლიტიკური ცხოვრება თითქოს მოდუნდა და ერთ წერტილზე გაიყინა. კოკოვცოვი ტიპიური გამომსახველი იყო ამ მდგომარეობის. იმ თავითვე ცხადი იყო, რომ ასეთი პოლიტიკური ატმოსფერა დიდხანს ვერ გაგძელდებოდა. რეაქციამ გაიმარჯვა, მთავრობას სათავეში მისი წარმომადგენლები მოექცენ. მარჯვნით გადახრის საბაბათ ასახელებენ სარკინისგზო სესხის აღებას, სახელმწიფო საბჭოში ლოთობის წინააღმდეგ კანონპროეკტის განხილვის დროს მომხდარ კამათს და სხვა ასეთებს. მაგრამ არც პირველი, არც მეორე და არც სხვა ასეთი მრავალი მიზეზი აქ არაფერს შუაშია. კოკოვცოვი მეტის მეტი ფრთხილი სახელმწიფო მოღვაწე იყო, მას უკიდურესი ზომები არ უყვარდა, არც ვისმე სერიოზულ საბაბს ისცემდა თავის წინააღმდეგ. მონოპოლიის საქმე ხომ კოკოვცოვის შექმნილი არ არის, არც მისი გამოცვლით დამთავრდება. რუსეთის ბიუჯეტი არაყზე დამყარებული, ვინც უნდა იდგეს საფინანსო უწყების სათავეში, სულ ერთია, ერთხელვე არჩეულ გზას ვერ ასცდება. დიდმნიშვნელოვანი და საყურადღებოა უმაღლესი რესკრიპტის სიტყვები ახალ ფინანსთა მინისტრის ბარკის სახელზე. შეუძლებელია ხაზინის კეთილდღეობა ხალხის ლოთობაზე, მის გალატაკება გახრწნაზე იქნეს დამყარებულია. ახალ მინისტრს ებძანა, სხვა წყარო გამოსძებნოს ბიუჯეტის შესავსებათ არყის ხმარება კი შემცირდეს.

რა საშვალება უნდა გამოსძებნოს ფინანსთა მინისტრმა, რით უნდა შეავსოს ის დანაკლისი, რომელიც ლოთობასთან ბრძოლას მოყვება. სად არის ახალი წყარო? გადაჭრით ვიტყვით—არსად, სანამ არმია და ფლოტი მილიარდებს ითხოვს, არაყის მონოპოლიის შემოსავლის შემცირება შეუძლებელია და არც ვინმე ფიქრობს სერიოზულათ ამაზე. თუ მაინც კოკოვცოვის საწინააღმდეგოთ ამდენი ცხარე სიტყვა წარმოითქვა „ვარსკვლავთა“ პალატაში, ეს, როგორც საბჭოს ცენტრმა განაცხადა, ნაყოფია სანოვნიკების ურთიერთ შორის ბრძოლისა.

საგულისხმოა, რომ სატახტო გაზეთებში ჭირდაპირ აღიარებენ—ახალი პრემიერ მინისტრი გორემიკინი ფსევდონიმია ნამდვილი ფაქტიური პრემიერის კრივოშეინისაო. აკი დიდის ზეიმით გააცილეს იგი საზღვარგარეთ დასასვენებლათ. გაცილებაში მინისტრებიც კი იღებდენ მონაწილეობას. ამრიგათ რუსეთი რესტავრაციის გზაზე დგება. 17 ოკტომბერი რუსეთის მატიანედან სურთ ამოშალონ. ვნახოთ შესძლებენ ამას, და თუ შესძლებენ დიდიხნით კი?

ახალი აქგავი.

„სინათლემ“ მეორეჯერაც დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი თეატრში. ხალხი სულგანაბული უსმენდა პიესის სვლას. წარმოდგენას შემდეგ მოწაფე ახალგაზდობამ დიდი ოვაცია გაუმართა ავტორს ბ. გედევანიშვილს.

დღეს მეოთხეთ იმართება „სინათლის“ წარმოდგენა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჯერაი ფასები დაკლებულია და საზოგადოების მცირე შეძლების პატრონთაც მიეცემათ შემთხვევა დასტკბენ ამ პიესის ხილვით.

✦ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ქუთაისში ჩამოვიდა, რომ ქალაქის თვითმართველობის საამშენებლო კომიისის სხდომას დაესწროს, სადაც ბჭობა იქნება მის პროეკტზე და იმ ცვლილებებზე, რომელიც თვითმართველობის კომისიამ შეიტანა ამ პროეკტში.

✦ დღეს, სხვათა შორის, თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს ნინო ბუცხრიკიძის ქალის საქმეს, რომელსაც უკანონოთ შეძენილი ბავშის მოკვლა ბრალდება.

✦ ქალაქის თვითმართველობას ბრიუსელიდან გენერალური სინდიკატისაგან მუნიციპალური საქმეების მოწყობის თაობაზე ცნობა მოუვიდა, რომ იგი თანახმაა მოაწყოს ეს საქმეები და გამოგზავნის მცოდნე ინჟინრებს წყალსადენის, ჰიდრო-ელეკტრონული სადგურის, ტრამვაის, კანალიზაციისა და სხვ. გამოსაკვლევათ.

✦ მიწისმოქმედების დეპარტამენტმა ქართულს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ამერიკული ვაზის სანერგისა და საცდელი ვენახის გასაშენებლათ 5000 მანეთი შესწირა.

✦ თფილისის მაზრის წინამძღოლათ 2 თებერვალს თ. მ. ა. სუმბათიშვილი აირჩიეს.

✦ კვირას, 2 თებერვალს, ხონის დრამატიული საზოგადოების სასარგებლოთ ადგილობრივი პროგიმნაზიის შენობაში გაიმართა წარმოდგენა-საღამო. სცენის მოყვარეებმა მსახიობი ნემოს მონაწილეობით წარმოადგინეს კომედია „გოგიას საკოლე“. წარმოდგენამ მხიარულათ ჩაიარა. წარმოდგენას შემდეგ ჩვენმა დამსახურებულმა ნიჭიერმა ბელეტრისტმა დ. კლდიაშვილმა წაიკითხა პატარა მოთხრობა „თავადი პეტრე“. საყვარელი მწერლის გამოსვლას ხალხი აფრთოვანებით შეხვდა და დაუსრულებელი ტაშისცემით გაუმასპინძლდა მას. დ. კლდიაშვილის შემდეგ ორი ლექსი წაიკითხა გუცამ. ნემომ წაიკითხა სცენები. საღამოს ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნებიც დაბრუნდა შინ.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ყასაბს კ. წულიკიძეს ნამალავათ საქონლის დაკვლისთვის.

✦ გადამდგარ პრემიერ მინისტრს კოკოვცოვს სამასი ათასი მანეთი საჩუქრათ შეაძლიესო, მაგრამ მას უარი უთქვამს, ფული არ მიუღია.

✦ ქუთაისში ნამდვილი გაზაფხულის დარებია, დღისით თფილა, მზე აცხუნებს, ღამით კვლავ სიცივეა.

✦ გორის პოლკში ამ ჟამათ, როგორც გადმოგვცეს, ძალიან გავრცელებულია ხურება—(ტიფი).

†მოსე ქიქოძე.

ათი თვე გავიდა მას შემდეგ (1913 წ. 27 აპრილს), რაც ქუთაისში აწ განსვენებულს მოსე ქიქოძეს მისმა პატივისმცემლებმა ვექილობის ასპარეზზე სიმართლითა და პატიოსნებით მოღვაწეობისთვის ოცდათუთხმეტი წლის იუბილე გადაუხადეს.

მოსე ქიქოძე ქუთაისში ერთი უხუცესი ვექილთაგანი იყო, უხუცესი, მცოდნე და მჭერმეტყველი. მისი ხელმძღვანელობით ბევრი მისი მომტანი ვექილი გაიწვრთნა, შეიძინა ცოდნა და გამოცდილება.

მოსე ქიქოძე არც ისე დიდიხნის კაცი იყო, იგი მოკვდა სამოცდა ცხრა წლისა და ამ ხანშესულობამდისაც არ დაუკარგავს უნარი საქმიანობისა, ახალგაზდური ხალისი და მისწრაფება ყოველი საზოგადო მოვლენისადმი.

იმ დღიდან, რაც მოსე ქიქოძე საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე დადგა, ჩვენში არ ყოფილა ისეთი მოვლენა ამ საზოგადოებრივი ხასიათისა, რომ იგი მას არ გამოხმაურებოდა. ყველგან, ყოველთვის მესამოცე წლების საუკეთესო იდეალებით გამსჭვალული, მოსე ქიქოძე მხურვალე, მტკიცე დამცველი-ქომაგი იყო ამ მესამოცე წლების რადიკალური მმართველობისა და ამ ხანშესულობის დროსაც მემარცხენე მიდრეკილების კარგი ქართველი იყო, ბეჯითი რწმენით, გულწრფელი, პირდაპირი აზრებით.

მოსე ქიქოძეს ჯერ კიდევ შეეძლო საქმიანობა და მით უფრო სავალალოა მისი დაკარგვა, რომ ამ ხნის კაცი, მისი აზრებითა და მიმართულებით კარგი მაგალითი იყო ჩვენი ამ დროინდელი თაობისთვის. მოხუცს აფრთოვანებდა საღი, საუკეთესო იდეალები—ეროვნული მისწრაფება, მშობელი ქვეყნის წმინდა სიყვარული.

მოსე ქიქოძე დაიბადა 1845 წელს ს. ბახვში—გურიაში. მამა მისი ღვდელი ათანასე, მძა იყო დიდებული ეპისკოპოზის გაბრიელისა. დედა მოსესი აზნაური გოგიტიძის ქალი კარგი მოქართულე იყო. პირველდაწყებითი სწავლა მოსემ ოჯახში მიიღო მშობლების ხელმძღვანელობით. უპირველესი ადგილი სახარების შესწავლას ეჭირა. მამა ათანასეს გადაწყვეტილი ქონდა—ბავშს ყოველ უქმე დღეს წაკითხული სახარების შინაარსი გადაეცა, წინაალმდეგ შემთხვევაში ბავში უსადილოთ რჩებოდა. როდესაც საკმარისად მოემზადა ბავში, მშობლებმა მიაბარეს თფილისის სასულიერო სასწავლებელში და იქიდან გადმოიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც კურსი დაასრულა 1866 წელს, ამავე წელს გაემგზავრა მოსკოვს და შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. კურსი დაასრულა 1870 წელს და ცოლათ შეირთო გრიგოლ ვისმანის ქალი.

როგორც სტიპენდიანტი, იგი ჯერ საჩხერეში დანიშნეს კანდიდატათ მსაჯულის თანამდებობაზე და იქიდან ზესტაფონის მომრიგებელი მსაჯულის თანაშემწეთ.

1887 წ. თავი დაანება სამსახურს და ჩაეწერა ნაფიც ვექილათ ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

სახელმწიფო სამსახურის დროს მოსემ დაკარგა პირველი ცოლი და რამდენსამე წელს შემდეგ შეირთო ტატიშვილის ქალი. მოსეს დარჩა ხუთი ქალიშვილი და ორი ვაჟი. უფროსი ვაჟი მამის კვალს გაყვა და ამ ჟამათ ვექილობს, ამის მოყოლი მეორე სამხედრო სააქიმო აკადემიის სტუდენტია.

მოსე ქიქოძე ითანამშრომლობდა „მნათობში“ და ათავსებდა განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიიდან წერილებს. თავის „ახირებულ სიზმრებში“ ბევრი საგულისხმო აზრი გამოსთქვა ენის მნიშვნელობაზე, საზოგადო ზნე-ჩვეულებაზე. ასანიშნავია მოსეს მიერ დაწერილი გარიელ ეპისკოპოზის ბიოგრაფია.

სამოც წელიწადს გადასული მოხუცი რეაქციის ქარტეხილმა ერთის თვით ცხის კედლებშიც მოამწყვდია ამ რვა წლის წინათ.

„სინათლე“.

როგორც პირველათ, ისე მეორეთაც სინათლის წარმოდგენაზე თეატრი ხალხით გაჭედილი იყო. საზოგადოება და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობა დიდის ინტერესით ისმენდა პიესას. ერთს გასაკვირველ მოვლენას შეამჩნევდით, როგორც კვირის, ისე ორშაბათის წარმოდგენაზე. ს ერთოდ მოგეხსენებათ, თუ რა ეკსპანსიური ხალხია ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა. ჩვეულებრივი წარმოდგენის დროს ხშირათ ისინი ივიწყებენ, რომ თეატრში არიან. ჩვენ ვუსაყვედურეთ კიდეც მათ, რომ მთლად რიგიანათ არ იქცევიან ხოლმე. კვირას და ორშაბათს კი ისეთი სიწყნარე იყო, იმდენათ გაიტაცა ისინი თვალწარმტაცმა სურათებმა, რომ მაშინაც კი, როცა ფარდა ეშვებოდა, ველარ ირკვეოდენ და ტაშის კვრასაც ველარ ახერხებდენ. ხოლო, როდესაც გონს მოვიდოდენ, თეატრი რამდენიმე წუთს ზანზარებდა ტაშის ცემით, რომელიც უმთავრესად პიესის ავტორს გედევანიშვილს ეკუთნოდა. იგი იძულებული შეიქნა რამდენიმეჯერ გამოსულიყო თავის დასაკრავათ, იწვევდენ ტასო აბაშიძის ქალს, შალიკაშვილს. ორშაბათს, როცა წარმოდგენა გათავდა, მოწაფეები ლოჟებიდან გადახტენ სცენაზე და ავტორი ხელში აიყვანეს, ასანიშნავია, რომ ბევრი ასეთი დაესწრო ორშაბათის წარმოდგენას, რომელსაც თფილისშიც უნახავს და კვირას ქუთაისშიც მოისმინეს. ეს გასაკვირველი არ არის, როგორც კარგი ოპერის მოსმენა არ მოგწყინდება, ისე „სინათლ-ს“ ხედვითაც ვერ გაძღები. იმდენათ მდიდარია იგი დრამატიული ეფექტებით, იმდენათ ლამაზი და სასცენო, რომ ქართული თეატრის რეპერტუარში ბადალი მისი არ მოიძებნება. დრამატიული საზოგადოების გამგეობას თამამად შეუძლია ამ პიესის ხეირიანად მოსაწყობათ ოთხი ხუთი ათასი მანეთი დახარჯოს, წაგებაში მაინც არ იქნება. ეს ისეთი საუნჯეა ჩვენი ეროვნული თეატრისათვის, რომ მის დასადგმელათ ხარჯს არ უნდა მოერიდონ. ჩვენ ვიცით, რომ შალიკაშვილს საკმაო ნიჭიცა და ცოდნაც აქვს, რომ ზოგი დეფექტები, რომელსაც ჩვენ შემდეგში აღვნიშნავთ გაასწოროს. ჩვენ ჯერ ცალკე როლის ამსრულებელთა განხილვას ვერ შევუდგებით, ხოლო არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ტასო აბაშიძის ქალის მომჯადოებელი თამაში. ის ამ როლში უნაკლოა.

რეფერატი: „საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე“.

(წერილი ხარკოვიდან).

27 იანვარს უნივერსიტეტის აუდიტორიაში სტ. ალ. წერეთელმა წაიკითხა რეფერატი „საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე“. აუდიტორია სავსე იყო ქართველი სტუდენტებით; ბევრი იყვენ აგრეთვე რუსებიც.

თავისი რეფერატის დასაწყისში ალ. წერეთელი შეეხო დავით ალმაშენებლის დროს, მოკლეთ აღნიშნა მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა, გადავიდა „ოქროს ხანის“ მნათობებზე, შოთაზე და თამარზე და აქ შეჩერდა ცოტახანს. გააცნო საზოგადოებას მათი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, მაშინდელი კულტურული და ეკონომიური სიძლიერე საქართველოსი, გაკვრით მოიხსენია შოთას „ვეფხის ტყაოსანი“ და გადავიდა პირდაპირ თემაზე.

„საქართველოს მეფეებმა მე-XV საუკუნიდანვე იწყეს რუსეთში მოციქულების გზავნაო, სთქვა რეფერენტმა. მაგალითად, ივანე მრისხანეს დროს მოსკოვს იყვენ გაგზავნილი მოციქულები. რა მიზნით იყვენ ისინი გაგზავნილი, ჩვენ არ ვიცით, რადგან ამისი საბუთები არ მოგვეპოება, მხოლოდ იმის თქმა კი თამამათ შეგვიძლია, რომ მათი მიზანი არ იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებაო“.

შემდეგ გადავიდა პეტრე დიდზე და ვახტანგ VI. შეეხო იმ გულუბრყვილობას, რომელიც გამოიჩინა ვახტანგ VI რუსების მიმართ და რა ძვირათ დაუჯდათ ეს ქართველ ერს. „სამწუხაროთ, სთქვა რეფერენტმა, ვახტანგ VI კატასტროფა არ გამოადგა გაკვეთილათ ქართველ ერს; კიდევ აპოტინებდა ხელს ჩრდილოეთისკენ და ერთ მორწმუნე რუსებისგან შველას ელოდაო“.

შემდეგ მოიხსენია თეიმურაზი და ირაკლი II, ეკატერინეს დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი, როცა ირაკლი II და იმერეთის მეფე სოლომონმა გასაოცარი ვაჟკაცობის სახელი გაითქვეს, და აღნიშნა 1774 წ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის შეკრული ტრაკტატი, რომელშიც სულ ორიოდე სიტყვა იყო ნათქვამი საქართველოს შესახებ.

შემდეგ ვრცლად შეეხო 1783 წლის ტრაკტატს, აღნიშნა აღმოსავლეთის განრისხება საქართველოზე და შეჩერდა აღა-მამედხანის შემოსევაზე.

აქ ერთი საგულისხმო ფაკტი აღნიშნა რეფერენტმა: „უბედური ბედი ეწვია მცხეთასაც. დაანგრიეს უძველესი ქართველების ქალაქი, მაგრამ გადარჩა ძველი ტაძარი: „არ უნდა შეურაცხყოთ წმიდა ადგილები და მეფეთა საფლავები“-ო—ასე მიმართა თავის ჯარს ნახიჩევნის ხანმა. მაგრამ, განაგრძო რეფერენტმა, გაივლის კიდევ რამდენიმე ათი წელიწადი და რუსის ეგზარხოსები შეეცდებიან ურჯულოებისგან გადარჩენილი ტაძრების დაჩაგვრასო“.

შემდეგ შეეხო პავლე I და გიორგი XII ურთიერთობას. აღნიშნა რა გულგრილობასაც იჩენდა თავდაპირველათ პავლე I საქართველოს მიმართ, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში კი ჩქარობდა მის შეერთებას რუსეთთან.

მერე გადავიდა ალექსანდრე I ხანაზე. მოიხსენია 1801 წ. უმაღლესი მანიფესტი, რომლის ძალითაც საქართველო სამუდამოთ შეუერთდა რუსეთს.

სთქვა რა მიზნითაც მოდიოდენ ჩვენში პირველი რუსის „ჩინოვნიკები“ როგორ ავიწროებდენ ქართველ ხალხს და ანადგურებდენ მათ სიძველეებს.

მოიხსენია კაბარდოელ-ბალყარელების ამბოხება, დაასახელა მათი მიზეზები, აღნიშნა ქართველი ერის დიდებული აუტანელი მდგომარეობა და ასე დაასრულა თავისი რეფერატი: „რუსეთში გავრცელებულია ხმა, ვითომც საქართველოს უნდოდეს განცალკევება და გამოყოფა რუსეთისაგან. მას ეს არა სურს. იგი მიისწრაფვის ფართო თვითმართველობისაკენ, რომელიც მისცემს მას შეძლებას თავისუფლათ გაავითაროს თავისი ეროვნული შემოქმედება, კულტურა და საერთოდ ეროვნული ცხოვრება, რაც ძმურს კავშირს დაამყარებს ქართველებსა და რუსეთის იმპერიის სხვა ეროვნებათა შორისო“.

მიუხედავათ იმისა, რომ ამისთანა რეფერატების კითხვის დროს აკრძალულია ტაში, ამ დღეს სტუდენტები სიხარულით მიეგებენ ალ. წერეთელს და ერთბაშათ ტაში დუკრეს, პროფესორმა შეაჩერა სტუდენტები.

რეფერენტს უპასუხეს პროფესორმა სავამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ რუსეთს სხვა გზა არ ქონდა და ისე უნდა მოქცეულიყო როგორც მოიქცაო, და ერთმა სტუდენტმა, რომელმაც ქართველი ერის აღორძინება რუსეთის სახელმწიფოს საერთო განვითარებას დაუკავშირა.

რეფერენტმა მათ შესაფერი პასუხი გასცა.

გრ. სიძალისხეველი.

ცოტა რამ ფინლანდიაზე.

შთაბეჭდილებანი.

შესანიშნავი მხატვარი ი. რეპინი და ცნობილი მწერალი ლ. ანდრეევი უმეტეს ნაწილათ ფინლანდიაში ცხოვრობენ.

ფინლანდიაში ცხოვრობდა და მოკლულ იქნა „ბნელ ძალთა“ მიერ გამოჩენილი მოღვაწე გერცენშტეინი.

ფინლანდიაშივე გაემგზავრა მ. გორკი სამშობლოში დაბრუნებისთანავე... იქ მიიღტვის ყველა, ვისაც დასვენება, დაწყნარებული ცხოვრება სწყურია.

რით აიხსნება ეს?

აქვს თუ არა ასეთ ლტოლვას რისამე საფუძველი, თუ ეს შემთხვევითი მოვლენაა?!

დიდი ქალაქების ხმაურობითა და ცხოვრებით თავმობეზრებულნი რატომ ფინლანდიაში და არა რუსის სოფლებში გარბიან?

პასუხისთვის საკმარისია გავიხსენოთ ამასწინათ მ. გორკის მიერ კორესპონდენტებისთვის გამოთქმული შეხედულება თავის სამშობლოს შესახებ.

გამოჩენილი მწერალი შეეხო რუსეთის ცხოვრების „მწარე სინამდვილეს“ და ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთის ხალხი მეტათ უკულტურო და ბუნებით სასტიკია, რომ მასში გამეფებულია მხეცური ინსტინკტებიდა მიდრეკილებანი..

რაკი ასეა, მაშ რუსთა შორის ცხოვრება აშლილ ძარღვებს ვერ დაგიწყნარებს, სულიერ სიმშვიდეს ვერ მოგანიჭებს...

და, მართლაც, ღრმა განსხვავება რუსეთისა და ფინლანდიას შორის უცბათ თვალში გეცემა, როგორც კი საზღვარს გასცდები.

ფინლანდიის სოფლებსა და მით უფრო ქალაქებში ვერ გაიგონებ ქურდობა ავაზაკობას, კაცის კვლას, ოჯახის წევრთა მხეცურ ამოჟლეტას.

აქ არ გესმის ლანძღვა-გინება, ყურს ვერ მოკრავ უაზრო ხმაურობას, უხეშ ყვირილს...

აქ შეხვდები ნაგავს, ლეშს, ჭაობს, საზოგადოთ უსუფთაობას.

ფინები მდიდრულათ ცხოვრობენ მიუხედავათ იმისა, რომ ბუნებრივი პირობები მათ ხელს არ უწყობთ. ეს აიხსნება, რასაკვირველია, შეგნებით, კულტურული დაწინაურებით, მაგრამ ამასთანავე შრომისმოყვარეობითაც.

ფინები თავისუფლებისთვის თავდადებული და სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული ხალხია; დიდის პატივცემით ეპყრობიან იმათ, ვისაც სამშობლოს საკეთილდღეოთ უმოღვაწია და თავისუფლების საქმისთვის ძალონე არ დაუშურავს.

ფინი დაკვირვებული, მშვიდი და დინჯია, რაც აიხსნება, შეიძლება, მისი სა-

მშობლოს მრისხანე ბუნების გავლენით.

ფინებში მეტათ განვითარებულია გრძნობა ერთმანეთისადმი პატივისცემისა და ნდობისა.

ფინლანდიის წესწყობილება ბევრათ განსხვავდება რუსეთის წესწყობილებიდან იქ სეიმი და თავისუფლება იყო მაშინაც, როდესაც რუსეთის ხალხი ბიუროკრატიის შუბრუკებით შებოჭილი ძლივს სუნთქავდა... ფინლანდიას თავისი სასამართლო, ფული, საკუთარი კანონები აქვს...

და ეს რუსეთის სახელმწიფოში, რომელმაც არა ერთი და ორი სამეფო იმსხვერპლა.

საკვირველი არ არის ეს?! ეი, რას ამბობს ამის შესახებ ცნობილი პუბლიცისტი ი. ბიკერმანი: „გაუგებარი და ახირებულია პირველი შესედვით ფინლანდიის ბედი; თვით მისი არსებობაც სასწაულათ გეჩვენებათ... საქართველო მოსკოვიდან და პეტერბურგიდან დაშორებულია რამდენიმე ათასი ვერსის მანძილზე; მდებარეობს მიუვალ მთებზე და მთებს შუა; რუსეთს შეუერთდა თავისი სურვილით და პირობით შეეკრა, რომლითაც მას ენიჭებოდა განსაკუთრებული უფლება არსებობისა. მაგრამ ვერც სიშორემ ვერც მთის მწვერვალებმა, ვერც ხელშეკრულებამ ვერ გადაარჩინა პატარა სამეფო,—იგი შთანთქა ჩრდილოეთის ლევიათანმა“...

ასეთივე ბედი ეწვია უკრაინას, პოლონეთს...

„და რა დიდი განსხვავებაა ამათსა და ფინლანდიას ბედს შორის?!

ას წელზე მეტია, რაც ის რუსეთმა შეიერთა, შეიერთა ცეცხლითა და მახვილით... მისი საზღვარი პეტერბურგიდან ორი საათის გზით არის მხოლოდ დაშორებული. და, მიუხედავათ ამისა, ფინლანდიამ თითქმის სავსებით შეინარჩუნა თავისებურობა: განსაკუთრებული კანონები, მართველობა, სასამართლო, ფული...

ფინლანდიის საღგურზე პეტერბურგში ვაგონები ფინური და შვედური წარწერებით მოდის, ფინლანდიას აქვს საკუთარი ვაჭრობა-მრეწველობა და რუსეთიდან გაყოფილია საბაჟოთი. ფინლანდიელები დაპყრობის დროიდანვე მოქალაქობრივი უფლებებით სარგებლობდენ“...

რით აიხსნება ეს?

ფინთა განსაკუთრებული ფსიხოლოგიით, საკუთარი ფიზიონომიისა და თავისებურობის შენარჩუნების სურვილით, ძვალ-რბილში გამჯდარი სამშობლოსადმი და თავისუფლებისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით, შეგნებით, წინადახედულობით, დაკვირვებული, შეთანხმებული და დაწყნარებული შრომა—მოქმედებათ...

ფინლანდია კულტურული მხრით რუსეთზე გაცილებით მაღლა სდგას და, როგორც კოფეხს შესდგამ, მაშინვე იგრძნობ, რომ უფრო განათლებულსა და დაწინაურებულ ქვეყნებში ხარ.

ცნობილი მწერალი ი. ბელოკონსკი სწერს: „შარშან წინ მთელი ზაფხული ფინლანდიასა, ნორვეგიასა და შვეიცარიაში გავატარე. ყველაფერზე მეტათ თვალში მეცა იდეალური სისუფთავე, რომელიც გამეფებულია შორეული ჩრდილოეთის ქვეყნებში, და აგრეთვე ხალხის სიფხიზლე. ამ ცოტა ხნის განმავლობაში მე იმდენათ შევეჩვიე კულტურას, რომ პეტერბურგი დაბრუნებისას მთვრალებით ავსებულს ბინძურ ორმოთ მომეჩვენა, და თუ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა სატახტო ქალაქმა, რა უნდა ითქვას დანარჩენ რუსეთზე, როდესაც იქ პირდაპირ განათლებული ქვეყნებიდან მოხვდები“?...

ხალხი ფინლანდიაში ულამაზოა, მაგრამ სანდომიანი და მასთან ერთობ ჯანსაღია... აქ მაგარი ყინვები იცის, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ფინები სუბუქათ იცმენ... ფინლანდიაში ჰაერი სუფთა და მომხიბვლელია, ხარბათ ეწაფები და გრძნობ, რომ სუნთქავ ჯანმრთელობას სიხარულს, ძალას...

ბუნება საკმაოთ მრისხანე და ერთფეროვანია ..

საუცხოოა ჩანჩქერი იმატრა!.. დიდხანს დგახარ თვალწამრტაცი სურათის წინაშე და მოშორება გეძნელება.

დიადი სანახაობა გხიბლავთ, გიტაცებთ...

საშინელი შხუილ-ღრიალით ასკდება სალი კლდის ცივ გულს მდინარის ცელქი ზვირთები. ლამაზი და წარმტაცია მათი ლივლივი. წმინდა და გამჭვირვალეა ცვრებათ დამსხვრეული ტალღები...

იმატრა ხან ხითხითობს დამთვრალი ტალღებით, წყნარათ მღერის, კოხტათ თამაშობს და სუსტი ღიმილით აკვდება ნაპირებს; ხან გიჟივით ხტის, ღელავს, სდუღს, ქშინავს, ღმუის, გამწარებული ყვირის...

ლამაზი ტყე და სალი კლდენი სულგანაბული დასცქერიან იმატრის მომხიბვლელ თამაშს, ყურს უგდებენ მის ლამაზ შხუილს, ჩურჩულსა და ღელვას...

დიადი სურათებით მოხიბლული დიდხანს ვიდექით აქ (თქვენი უმორჩილესი მონა, ახალგაზდა პოეტი ს. აბაშელი, მასწ. გომელაური და სხვ.) და ვიგონებდით ჩვენს ტურფა საშობლოს მშვენიერ ადგილებს და მდინარეებს, რომელთა

„ზვირთებს შორის ჩემის ქვეყნისა გძელი მოთხრობა დამარხულია“...

ვ. კაკაბაძე.

ᲒᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲥᲝᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲒᲐ.

ახალს ჩამოსულ ადამიანზე ბაქო უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. ქალაქი თავისთავათ დიდი არ არის, მაგრამ მოძრაობისა და ცხოვრების დუღილის მხრით მოლოდინს აჭარბებს: რომ იტყვიან „სდუღს და გადმოდისო“,—სწორეთ ისეა. იფიქრებთ, ბაქო რუსეთის ტერიტორიაში არ უნდა იყოსო; მას ამერიკული ცხოვრების ხასიათი და ელფერი სძევს. ქალაქი ლამაზი არ არის—ბევრათ ჩამოუვარდება თფილისს სილამაზით, მაგრამ, როცა ვამბობ — ამერიკული ელფერი სძევს-მეთქი, მხედველობაში გვაქვს მისი წარმოებისა და კომერციის მხრით უმადლეს საფეხურზე დგომა. ამ მხრით იგი რუსეთის ყველა ქალაქებს სჯობნის. ერთის მხრით მდიდარი, ნავთით გაჟღენთილი ნიადაგი. მეორეს მხრით ვეებერთელა კასპის ზღვა, მესამის რკინის გზები საქართველოსა, რუსეთსა და საზღვარგარეთისკენ მიმავალი, მეოთხის—სიახლოვე სპარსეთისა—ყველა ეს ბაქოს წინწაწევის საქმეს და კულტურულ-ეკონომიურათ გაზდას დიდათ ეხმარება.

დღეს მდგომარეობა ისეთია, რომ ვინც ბაქოს წარმოებაში ჩაებმება, თუ ცოტათ მაინც შესწევს გამჭრიახობა და შრომის უნარი, ნამდვილათ შეიქნება ფულიანი. მე მგონია, რუსეთის არცერთ ქალაქში—პროპორციონალურათ რომ ავიღოთ არ მოიპოებ იმდენი მდიდარი, რამდენიც, ბაქოში. მაგრამ, სადაც მდიდრებია, იქ ღარიბებიც არის და ამ მდიდრების რიცხვს ცხოვრებაც ძალზე გაუძვირებია. აქ ცხოვრება ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე მაგალითად ქუთაისში. აქ ყველა—მართალი, თუ უმართლო—კომერსანტობს, ეს მოდაა აქაური. ყველა ცთილობს ცხოვრებას მეტი მოგება აართვას. ახლა უბრალო ვინმეებიც—კი ცდილობენ „ქვას ზეთი“ გამოადინონ და ამიტომ არც უნდა გვიკვირდეს, თუ ცხოვრებაც ასე ძვირია.

ბაქოს ნავსადგური მუდამ სავსეა გემებით. აქიდან კასპიისკენ, ასტრახანისკენ და სპარსეთს მიაქვთ ნავთი უმთავრესათ, რასაკვირველია, და ამასთან ერთად მიაქვთ და მოაქვთ სხვადასხვაგვარი ნაწარმოები: ფქვილი, სპილენძი, რკინა, და სხვა. მოძრაობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიდია, ფუსფუსი გამუდმებული; გვიან ადგომა, გვიან დაწოლა. ღამის 12 და 1 საათზე გაზეთის დამტარებლები ყვირილით დარბიან ქუჩებში და ასაღებენ ხვალის გაზეთებს, ცხოვრება მოუსვენარია; თეატრები, პროჟექტორები ცირკები, შანტანები, კაფეები და სხვადასხვა ხარისხის გასართობი მუდამ სავსეა ხალხით. ღამის 2—3 საათზე ავტომობილების ქშენა და ხმაური შეუჩეველ კაცს ძილს გიფრთხობს; ფურგუნების, დროგების და საქონლების სხვა ხარისხის გადამზიდავ - გადამთრევთა ხმაურობიდან მთლათ გული გაქვს წაღებული!?

ბალახანაში ყოფილვარ ორი წლის წინათ, ბიბიეიბათი-კი არ მენახა. უნდა სიმართლე ვსთქვა, გამაცვიფრა იქაურმა სიმდიდრემ. ასე გაშინჯეთ, მაზუთსა და ნავთს ორ-სამ არშინიანი ქვიტკირის კედლებშიც კი გამოუტანავს. აუარებელი წარმოება, აუარებელი ჰა, მილები, გემები, ურიცხვი ინჟინრები, ტეხნიკოსები და სხვა. ყველა ფირმას საკუთარი მართველი ინჟინრები, ქურქებში გამოხვეული, საკუთარი ავტომობილებით მობძანდებიან ქალაქიდან ბიბიეიბათს და განაგებენ წარმოების საქმეს.

ბაქოდან ბალახანას ორი გზა მიდის: გზატკეცილი და რკინისგზა. ავტომობილი ავტომობილს და ეტლი ეტლს მისდევს. რკინისგზაზე ხომ მგზავრი მუდამ აუარებელია. ბალახანაში უფრო მეტი წარმოებაა.

* * *

ახლა ორიოდე სიტყვა ბაქოელ ქართველებზეც. საკმაოთ ბევრი ქართველი დამკიდრებულა ბაქოში. უმეტესობა კერძო სამსახურშია; ბევრია უბრალო მუშაკ. უმცირესი ნაწილი კი ნავთის წარმოების საქმეს მისდევს. ამათ ხელშია უმთავრესათ—ორიოდეს გარდა—წვრილი წარმოება. არიან ქართველი ინჟინრებიც, ზოგი მწარმოებელთა მართველია, ზოგიც კიდევ ქარხნებს უფროსობს. ერთი სიტყვით, ბაქოში ქართველები უფრო სულმოდგმულათ არიან, ვიდრე სხვაგან.

ბაქოელი ქართველების ინტელიგენტ ნაწილს დიდი მადლობა ეთქმის ბაქოში ქართული შკოლის დაარსების გამო. მკვიდრი ნიადაგი აქვს აქაური შკოლის საქმეს. შკოლა აგებულია ქალაქის შუაგულ ალაგს. შენობა საკმაოთ დიდია, ჰიგიენურიც; როგორც მიამბეს, შკოლის აგების საქმეში ყველაზე უფრო ცდილან ბ.ბ. თაქთაქიშვილი და ი. მანსვეტიშვილი; უკანასკნელს ამ საქმეში 18 ათას მანეთამდი დაუხარჯავს.

შკოლაში ოთხმოცი მოწაფე სწავლობს. სწავლა თანამედროვე, სალი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით სწარმოობს. დიდ მუყაითობასა და საქმის სიყვარულს იჩენს შკოლის გამგე ბ. მ. კაკაბაძე, რომელსაც ყველა დიდის მადლობით იხსენიებს. მასწავლებელი ქალებიც მუყაითობენ და საქმეში სიყვარულს იჩენენ. ერთი კვირის წინათ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების შკოლების მეთვალყურე-ხელმძღვანელი ბ. გ. ბურჭულაძე ესტუმრა შკოლას და დიდათ კმაყოფილი გაემგზავრა კავკავს. მან მადლობით აღნიშნა მასწავლებლების მუყაითობა და სიგამჭრიახე

საერთოდ ეს შკოლა ყველა მნახველზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩემი აზრით, ეს შკოლა დიდი კულტურული დაწესებულებაა. შკოლის გარშემო იკრიბება. როგორც დემოკრატიული, ისე არისტოკრატიული ნაწილი ქართველობისა. აქვეა საკმაოთ კარგი—ქართული წიგნებით საკმაოთ მდიდარი—ბიბლიოთეკა, საიდანაც მიაქვთ წიგნები საკითხავათ.

ქართული წარმოდგენების საქმეც კარგათაა მოწყობილი ბაქოში. რეჟისორათ მოწვეული ყავს ბ. ნიკო გვარაძე; მსახიობათ კი ქ. ცაცა ამირეჯიბის ასული. ბ. დ. აწყურელი და ქ. ქ. ანდრონიკაშვილისა ღებულობენ მონაწილეობას წარმოდგენებში სრულიად უსასყიდლოთ და თავისი მშვენიერი თამაშით ატკბობენ მაყურებელთ. წარმოდგენების საქმე ნორმალურათ მიმდინარეობს. მადლობა ეთქმის დრამატიულ სექციას, რომელიც ყოველგვარ ღონეს ხმარობს საქმის უკეთ მოსაწყობათ.

სხვა წლების მიხედვით წელსაც 25 იანვარს გაიმართა ქართული საღამო. საღამო შინაარსიანი იყო. მთელი „როტა“ გახლდათ მომღერლებისა: ი. სარაჯიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, ბ. ტომაშევიჩი, საბანეევის ქალი და სხვა.

საღამოს არაფერი აკლდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მას ქართულისა ცოტა ეცხო. ყოველ შემთხვევაში შეიძლებოდა უფრო მეტი ქართული რამის ჩვენება სცენიდან. სხვა არა იყოს-რა, სიმღერა მაინც შეიძლებოდა მოწყობილიყო. მადლობა ღმერთს, მომღერალთა გუნდები საკმაოთ გვყავს და იმათი მოწვევა იმის მეტ ხარჯს მაინც არ გამოიწვევდა, რაც ი. სარაჯიშვილისა და საბანეევის ქალის მოწვევაში დაეხარჯათ. საღამოებს უფრო უმეტესათ ჩვენი კულტურის სხვა ერებთან გამოჩენის მიზანი უნდა ქონდესთ, ვიდრე ფულის მოგებისა. ბაქოელები კი უმთავრესათ უკანასკნელს დაეწაფენ და აქ კიდევაც გაიმარჯვეს: წმინდა შემოსავალი შვიდას თუმანს უდრის. უნდა ვუმადლოდეთ კ-ნა თამარ დადიანისას, რომლის მუყაითი შრომისა და საქმისადმი გატაცების შესახებაც კარგის მეტი არა ითქმის-რა.

ახალი

ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝ.

(ბოეშა ბროზათ).

ა.

სურვილი

— ტიკ, ტიკ, ტიკ!.. ფანჯრის მინას წვიმის წვეთები ეცემა... ოთახში სამარისებური მყუდროებაა...

დაფიქრებული ზიხარ ფანჯარასთან და ხელებზე დაყრდნობილი გასცქერი შორს...

გამოურკვევი სურვილის ცეცხლი ანთია შენს გულში.., თითქოს რაღაცას ეძებ... თითქოს რაღაც დაგიკარგავს...

სარკმლის მინიდან ოთახში სიბნელე ჩამოწვა...

თავი ანებე ფანჯარას და ნელი ნაბიჯით იწყე სიარული ოთახში... ელი მის მოსვლას იმავე გამოურკვევი სურვილით, როგორც ამ ერთი საათის წინ... და ისეთივე სევდით სავსე, როგორაც ეწევა ხოლმე მომაკვდავს სასიკვდილოთ გამზადებულ სარეცელზე!..

და ხედავ.. არ მოვიდა იგი... თავი ანებე მას... დე, ნუ მოვა... თუ კი არ ძალგიძს მისი ხილვა...—შენი სურვილი მზის სხივებსა გავს, გხიბლავს შორით და ახლოს მისვლა არას დროს არ შეგიძლია... ასე: ადამიანის სულში იბადება სხვადასხვა ფერადი სურვილები... სურს გარეგანი სახით ხილულ საგანთა სულში ჩაიჭრას,—ხოლო იგი ვერ პოულობს მას და მწარე სევდით ივსება...

ბ.

სულამიტ!..

ო, სულამიტ, ჩემო მშვენიერო სულამიტ!.. ოქროსფერი ღიმილით დაეცა მახვილი ჩემს მკერდს!.. სიყვარულის ლახვარმა განგმიროს გული ჩემი და წითელი სისხლით შეისვაროს იგი!.. ვით მოციმციმე ტბაზე დაჭრილი გედის თეთრი, სპეტაკი ფრთა!.. შავ თვალთა ელვის სხივი ტრფობის ნაკვერცხლათ ჩამეჭრას სულში!..

— მოიხედე, მოიხედე, მშვენიერო სულამიტ!..

აი, მთვარიან ღამეს სარკმლის მინით ჩემს სარეცელთან მოიჭრა შენი აჩრდილი... ვგრძნობ შენს მშვენიერებას და სული ჩემი უსაზღვრო სიხარულს განიცდის... ყვავილთა სურნელებას აფრქვევს შენი მკერდი... აი ვხედავ ბროლის ტანს, მზის სხივებში ამოჭრილს,—ოდნავ გფარავს ძოწის სამოსი...

— ნუ, ნუ დაიხრები ჩემსკენ სულამიტ!.. ნუ დაიხრები, რომ არ შეეხო და ბიწიერი ხელით არ შეურაცხყო შვენება შენი ღვთიური... ნუ წამიკვეთ სიხარულს—შენი სახის მზერას!.. შორს იდექ... მარტო დამტოვე... მსურს დავსტკბე ჩემი სულით!..

გ.

ლტოლვა...

გესმის?.. რაღაც მწყდება გულის სიღრმიდან... ოჰ, რა საშინელი ბოლმა მაწვება...

— დახარე, დედი, ჩემსკენ თავი და მიამბე ზღაპარი...

— „უდაბნოში ფრთოვანი მერნით მიქრის მხედარი... იგი მოუთმენლათ ელის მზის ქალის შეხვედრას!.. და მიქრის... მიქრის შეუბოვრათ ჭაბუკი იგი ჰაეროვანი...

...დღეს პირველად შედის ქალწული მზის ღმერთის სამლოცველო ტაძარში... ნელი ნაბიჯით მიუახლოვდება იგი ტაძრის კარებს“, შედის შიგ... პირქვე ემხობა სალოცავი ღვთაების წინაშე და მუხლმოდრეკილი ლოცულობს... ლოცულობს განუწყვეტლათ...

— ყრმა რა იქნა, დედი?..

— უცხო ხილვით აღტყინებული უსულოთ დაეცა ხრიოკ უდაბნოს გახურებულ ქვიშაზე...“

— მაშ ვერ მიაწია ქალწულამდი?..

ო, განაგრძე, განაგრძე კიდევ დედი!..

დ.

უხილავი.

იდუმალების საბურველით ცხადდება ქვეყნათ... ცხადდება ქვეყნათ მიუწდომელი მშვენიერება... გარემოს მისსა გამჭვირვალი—დაქრის სიწმინდე--თვით მზის სხივზედა სპეტაკი და ჰაეროვანი... რა შეედაროს მის ღვთიურ ძალას ქვეყნათ მოვედაროს მის ღვთიურ ძალას ქვეყნათ მოვედაროს მის ღვთიურ ძალას ქვეყნათ მოვ

საგვარო სახლი **ი. ბოკიელის** შვილების ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერისა და სიტინის ამხანაგობისა.

ქართული კედლის და ჯიბის **კალენდრები**

ტფილისის პორტფელები (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

კალათები ქალალდის ჩასაყრელი.

საკმაყოფილებელი თანხა არ აქვს, და რაც არის, მიეცემა მას სესხათ, ვისთვისაც მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს“-ო. ღვდ. ბუაჩიძე, აშკარაა, მარტო მისთვის ჩაწერილა წევრათ, როცა მოესურვებოდა, უთუოთ გაეტანა ფული და არ ეხელმძღვანელა იმ სამართლიანობით, რომელიც მიღებულია საზოგადოთ სესხის გატანის საქმეში, ე. ი. არ დაკმაყოფილებულიყო ზემოხსენებული ბ. ჭიპაშვილის სამართლიანისა და კანონიერი პასუხით. თუ მას, მართლა, საზოგადო საქმის წინსვლა აინტერესებდა—ასე მოიქცეოდა, მაგრამ უარი დიდათ იწყინა და თანხმობის მაგიერ მოითხოვა საწევრო ფულის უკან მიღება და კიცხის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში გადაბარგება, სადაც ოფიციალური ქალალდი შეიტანა, რომ იგი თავისი სურვილისამებ თავს ანებებს ხარაგაულის საკრედიტო ამხანაგობას. მისდა სამწუხაროთ, კიცხის ამხანაგობამ მას უარი უთხრა. როცა დაატყო, რომ ორივე ამხანაგობიდან გარეთ რჩებოდა, და ამავე დროს ოფიციალური ქალალდი არ ქონდა ხარაგაულის ამხანაგობაში წევრობიდან გადადგომისა, არც კვიტანცია ფულის უკან მიღებისა, მოისურვა ისევ ხარაგაულის ამხანაგობაში დარჩენა და თანაც ხელმეორეთ ითხოვა ფულის მიცემა სესხათ. ბ. ჭიპაშვილმა ხელმეორეთ უპასუხა: „წევრათაც რომ ითვლებოდე, როცა უმეტესი ნაწილი წევრებისა თქვენზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაშია, თქვენ ქუთაისში სახლების ასაშენებლათ ამხანაგობა ფულს ვერ მოგცემს, და ისიც ასეთი კრიზისის დროს“-ო...

ამას შედეგათ მოყვა ჭიპაშვილის დაბეზღება და შკოლის მოულოდნელი რევიზია, მაგრამ ბ. ჭიპაშვილმა თავისი მუყაითი მეცადინობით შკოლაშიც ინსპეკტორისგან მადლობა დაიმსახურა. ამას ქვია, რუსები რომ იტყვიან, დათვური სამსახურის გაწევა.

ღვდელი მ. ბუაჩიძე ამდენათ გატაცებულია პირადი ინტერესით, რომ საჯაროთ ამტკიცებს: „ორი კულტურული საქმის პირნათლათ ასრულება ყოვლად შეუძლებელია“-ო. ამის მტკიცება უადგილო და უსაფუძვლოა, ვინაიდან ეს დაგვიმტკიცა თვით ბ. ჭიპაშვილის მოქმედებამ და ორივე კულტურული დაწესებულების რევიზიებმა, როცა მან (ჭიპაშვილმა) მადლობა მიიღო. ან ვინ დაუჯერებს მას ამას, როდესაც კაცს, რომელსაც ნამდვილათ გული შესტკივა საზოგადო საქმისთვის, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არათუ ერთსა და ორ კულტურულ დაწესებულებაში, არამედ ოთხსა და ხუთშიც. არაა მართალი ღვდ. ბუაჩიძე შენობის შესახებაც. ვინ არ იცის, რომ კარგი შენობა კარგია, მაგრამ ჯერ ერთი დაგვისახელოს—სადაა ამის უკეთესი და მეორეც ისე მომარჯვებულ ადგილას, როგორც დღესაა.

მამაო მიხეილ! მოიგონეთ თქვენი საქციელი საწყალი კაცის თავდებობის შესახებ, რომელსაც სესხი უნდა გაეტანა ამხანაგობიდან, და როცა თქვენი ხელის მოწერაზე მივარდა საქმე, დაპირებული სიტყვა უკან წაიღეთ, კარში გავარდით ამ სიტყვებით: „მე რა ვიცი გადაიხდის თუ არაო“, და საწყალი კაცი იშედგაცრუებული ხელცარიელი წავიდა. შემდეგ კი თავს იმართლებდით ამ კაცის წინაშე და მთელ ბრალს ჭიპაშვილს ახვევდით თავზე. კმარა, სჯობია თქვენთვის ლობე-ყორეს არ მოედავთ, თვარა რაც მეტს ილაპარაკებთ და დასწერთ, მით უფრო მეტს ჩაეფლობით სიცრუის მორევში.

თქვენც კარგათ გიცნობთ საზოგადოება და ბ. ჭიპაშვილსაც.

მეორე წევრი.

დაბა-სოფელი.

ს. განარჯიას-მუხური (ოდიში). ეს სოფელი მდებარეობს დასავლეთ სამეგრელოში, შავი ზღვის ახლო, მდინარე ინგურის მარჯვენა მხრით, და შეადგენს ს. დარჩელის საზოგადოებას. წარსული 1913 წლის ზაფხულამდი ეს სოფელი, რამდენიმე წლის განმავლობაში შეადგენდა ცალკე სამამასახლისოს და სხვადასხვა საქმის მართვა, როგორც გლეხებს, ისე მთავრობასაც არ ეძნელებოდათ. დღეს-კი, თუ განარჯიას-მუხურელ გლეხს დასჭირდა სოფლის კანცელარიაში წასვლა (რაც წელიწადში ხშირი მოვლენაა) მან უნდა, წარმოუდგენელი გლახა გზებით, გიაროს 5—10 ვერსი იქით და ამდენი აქით და პორომით ანუ სხვა რამე საშვალებით გავიდეს მდინარე ინგურზე. კანცელარიაში სოფლის მოსამსახურენი დახვდებათ თუ არა ეს ღმერთმა უწყის! განარჯიას-მუხურელი გლეხი იცდის სოფლის კანცელარიაში საღამომდი, რის შემდეგაც იგი იძულებულია დარჩეს სოფელ დარჩელში სტუმრათ და მეორე დღეს დაბრუნდეს შინ, ხშირათ საქმის გაუთავებლათ. ამაზე განარჯიას-მუხურელი გლეხის ჩივილს საზღვარი არ აქვს. ახლა გავრცელდა ხმა, ვითომცდა განარჯიას-მუხურელი გლეხები განაჩენით თხოულობდენ, რომ მათ დაუბრუნდესთ სოფლის კანცელარია და მამასახლისის არჩევის უფლება. ჩემის აზრით, ეს გამოიწვევს ხარჯებს და აი რატომ: სოფლის კანცელარიის გაუქმებას და ყველა საქმის დარჩელის სასამართლოში გადატანას შემდეგ, განარჯიას-მუხურელ გლეხებს განაჩენით მიუსაკუთრებიათ სოფლის კანცელარიისათვის აშენებული ხის შენობა—იმავე სოფელში არსებული ორკლასიანი სამინისტრო შკოლისთვის, და თან უთხოვიათ სახალხო შკოლების ინსპეკტორისთვის მესამე კომპლექტის მომატება, რაც უკვე შესრულებულია. ახლა, თუ განარჯიას-მუხურელებმა კვლავ ისურვეს მათ მიერ უარყოფილი უფლებების დაბრუნება, მაშინ იძულებული იქნებიან ან კანცელარიისთვის ააგონ ახალი შენობა და ან შკოლისათვის. ამას გარდა, კანცელარიის გადმოტანას შემდეგ, გაჩნდება ათასი სხვადასხვა გადასახადი, რასაც ვერ შესძლებს 200-ზე ნაკლები კომლი გლეხობა. ჩემის აზრით, მათთვის უკეთესია—გააკეთონ სოფელში მისავალი გზები, რითაც გაუადვილდებათ საქმის წარმოება, როგორც გლეხებს, ისე მთავრობასაც. თავისთავათ ცხადია, რომ უგზოობა, როგორც ყოველს მხარეს, ისე განარჯიას-მუხურშიაც ძლიერ უშლის ხელს ადგილობრივ მცხოვრებლებს. უგზოობის გამო ამა სოფელში მცხოვრებნი ნაკლებ სარგებლობენ აქ არსებული შკოლით. ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ სოფლის ღელეები წვიმების დროს ადიდდებიან, რომელზეც უხიდობის გამო, ვიდრე წყალი დაიკლებდეს, ბავშები ვერ მიდიან შკოლაში, და იძულებული არიან შინ იყონ, არაა ძნელი წარმოსადგენი ის არანორმალური მიმდინარეობა სწავლისა, რომელიც დღემდი ბატონობს ხსენებულ შკოლაში. ყოვლად შეუძლებელია გლახა ამიდში, გამვლელი მუხლებამდი ტალახში არ ამოისვაროს... აქ ცხოვრობენ კაი შეძლებული აზნაურებიც. რადგანაც გზა ყველასათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, საჭიროა, ერთმანეთის დახმარებით შეაკეთონ არსებული გზები და გაიყვანონ ახალიც, საჭიროებისამებ. მით უფრო ადვილია ამის შესრულება, რომ ხიდებისათვის ხეტყე აქ არ არის ძვირი და გზის მოსაკენჭი ქვაც ბლომათ იშოვება მდინარე ინგურში.

მსწ. დ. კოდუ.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წელიწადი მეათე. **„ნაკადული“** წელიწადი მეათე

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).

თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი, მოზდილთათვის **12** წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

სანუკვარი ორივე გამოცემის წლიურ ხელის მოწერლებს მიეცემა წიგნი:

„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქეველი მთები“,

(მრავალი სურათით), **კიორგი ანთელავისა.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ზუგდიდში** და **ფანხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კოსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან; **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხანში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

ᲞᲐᲡᲮᲐᲚᲘᲓᲘᲡ

ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ

მყიდველთა საყურადღებოთ ამით ვაცხადებთ, რომ მათ თესლი ამთავითვე დაიბეგონ, ვინაიდან თესლი დაუბეგებლათ არავის შეენახება და, მაშასადამე, ბოლოს საყვედურიც უადგილო იქნება.

ᲬᲕᲔᲜᲘ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ბათომი, მარინსკი პროსპექტ. საკუთარი სახლი 10.—ერთადერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლის ბათომის, ქუთაისისა და თფილისის გუბერნიებში **მთელ კავკასიის ძე რუსიმე.**

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

„ᲙᲚᲝᲣ-ᲧᲚᲣᲠᲣᲚᲘ“

ყოველთვის ურჩევს მიწის ნიადაგის მიხედვით შესაფერი დაძირებული ვაზების არჩევას, აფრთხილებს მემამულეებს **რუპესტრისზე** დამყნილი ვაზების ხმარებისაგან, რომელიც იძლევა ნაკლებ მოსავალს და ღვინოც ლირსებით ნაკლები ხარისხის გამოდის, და რომელიც იწვევს ყველაზე მეტს **სოკოს ავათმყოფობას** საძირეზე. დამზადებული გვაქვს გასაყიდათ: ცოლიკოური, კრახუნა, ციცკა, წვანე, რქაწითელი, საფერავი, ოცხანური და ბევრი სხვა ჩვენებური და ევროპიული ჯიშისა და აგრეთვე საგობე საჰმელი ყურძნის ჯიშის, რომლებიც დამყნილია სხვადასხვა საძირეზე ყოველნაირი ნიადაგის მიწებისათვის. საღვინე ღვინის ვაზების ფასი—1000—65 მან. პრეისკურანტი იგზავნება უფასოთ.

გმელდება ხელისმოწერა

„ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ“

24 ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.

წლიური ფასი	4 მან.
ნახევარი წლის	2 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:

2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

(წელიწადი მეხუთე)

1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კეთილსინდისიერ

სურათებიანი დამატება

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „შეგვირგვინა შეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა **მეორე წიგნი:** უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა **შესამე წიგნი „სამეფნიერო კრებული.“** ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

თფილისში და მის გარეშე.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8მ.10შ.	8 მ.—„	7მ.10შ.	6მ.15შ.	6 მ.—„	5მ. 5შ.	4მ.10შ.	3მ.15შ.	3 მ.—„	2მ. 5შ.	1მ.10შ.	—15შ.

საზღვარ გარეთ.

15მ.—„	13მ15შ	12მ.10შ	11მ.5შ	10მ.—„	8მ15შ	7მ.10შ.	6მ. 5შ.	5 მ.—„	3მ.15შ.	2მ.10შ.	1მ. 5შ.

ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინიციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო-სალიტერატურო კრებული

„ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ,“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველოო“-ს სასარგებლოთ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

ბრ.—დოტ: ს. ავალიანი. დროებით ვალდებულ კვეხთა სკითხი. ორდინატორი ნერვიულ კვანიკისა აქმი ს. ვიეშაქე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. ბრიზეკტორი ანატომიურ თეატრისა აქმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი ვენერიულ კათეორზე აქმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი ზ. ქავლარაძე: ანაბიოზი. სტ. ქ. რაზეველიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. ვ. კარბელაშვილი. ახალგაზრდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. დ. ჟღენტი. ბავშის ადზდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

Გ. ᲒᲝᲚᲝᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს. ᲜᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის კოფეშეისტრის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის უუფზენიანს „БЕМСКОЕ“

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის
და დუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საგუთარ შენობაში, მიხეიდის ქუჩაზე № 65

რკინის გზა.

ქუთაისიდან მიდის

თფილისს:	სახალხო დილის	10 საათ.	6 წ.
	ფოშტის დილის	11 საათ.	55 წ.
	სახალხო ღამით	11 საათ.	27 წ.
ათოამს:	სახალხო დილის	5 საათ.	10 წ.
	სახალხო ღამით	11 საათ.	27 წ.
	ფოშტის საღამოს	5 საათ.	21 წ.
ზუგდიდს:	საგარაკო დღის	4 საათ.	22 წ.
	სახალხო ღამით	5 საათ.	10 წ.
	ფოშტის დღით	5 საათ.	21 წ.
ზუგრაპანს:	საგარაკო დღით	4 საათ.	57 წ.
ტყიბულს:	სახალხო დილის	7 საათ.	50 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	სახალ. დილ.	7 საათ.	—
	ფოშტის საღამ.	6 საათ.	55 წ.
	სახალხო ღამ.	1 საათ.	28 წ.
ბათუმიდან:	საფ.-სახ. დილ.	11 საათ.	14 წ.
	სახალხო ღამ.	1 საათ.	27 წ.
ფოთიდან:	საგარ. დილ.	10 საათ.	3 წ.
	სახალხო დღით	1 საათ.	20 წ.
	სახალ. ღამით	1 საათ.	26 წ.
ზუგრაპანიდან:	საგარ. დილის	9 საათ.	31 წ.
ტყიბულიდან:	საღამოს —	5 საათ.	11 წ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: